საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

1 11 2019 წ. № 302 ქ. თბილისი

სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2020 წელს წარმოების დაფინანსების მიზნით კონკურსის გამოცხადების თაობაზე

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/257 ბრძანებით დამტკიცებული „კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულების" პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად ვბრძანებ:

1.2019 წლის 1 ნოემბერს გამოცხადდეს კონკურსი სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2020 წელს წარმოების დაფინანსების მიზნით დანართ 1-ში აღწერილი პირობებით.

2.ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი გაგა ჩხეიძე